

პარდამენტში „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონპროექტს განიხიდავენ



დღეს პარდამენტში „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონპროექტზე მსჯელობენ, რომელიც პარდამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოამზადა. შეხვედრაში აღმასრულებელი ხელისუფლების, საერთაშორისო და არასამთავრობო

ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

არასამთავრობო ორგანიზაციებს კანონპროექტის მიმართ შენიშვნები აქვთ. „სოციალურ მუშაკთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ნინო შატბერაშვილი აცხადებს, რომ სოციალური მუშაკებს სათანადო კვარიფიკაცია არ გააჩნიათ.

„ამ სფეროში ბევრი ისეთი ადამიანია, ვისაც სოციალურ სფეროში არც განათლება და არც შესაბამისი გადამზადება არ აქვთ. გამოდის, რომ ძალიან მოწყვლად ადამიანებთან ვუშვებთ ისეთ მუშაკებს, რომლებსაც სინამდვილეში ცოდნა იმისა, რომ მათ მოემსახურონ, თან ისე, რომ არ ავნონ, არ აქვთ“, - განაცხადა ნინო შატბერაშვილმა.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონის პროექტის სამუშაო ვერსია გასაცნობად საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, ასევე სოციალური მუშაობით დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენლებს გადაეგზავნა.

სტაციადური მუშაკი არის სპეციალისტი, რომელიც უწევს მატერიალურ – საყოფაცხოვრებო და მორალურ–სამართლებრივ დახმარებას ინვალიდებს, მართონხედა მოხუცებს, მრავალშვიდიან დედებს, თბორ ბავშვებს, მძიმედ დაავადებულ პირებს, ნარკომანებს და ადვოკატებს, სტიქიური უბედურების, ეკოლოგიური კატასტროფების, ნაციონალური კონფლიქტების, საომარი მოქმედებების, ახლობლების ან საცხოვრებლის დაკარგვის შედეგად ფსიქოლოგიურ დეპრესიაში მყოფ პირებს.